ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595155500

N 479
26/12/2019

479-07-3-201912261052

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ვლადიმერ ნანაძეს

ბატონო ვლადიმერ,

გიგზავნით „ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №97 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტის.

პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია

ვ. კვირკველია

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნის და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ პუნქტი: „კ) გიორგი მორჩილაძე - კომისიის წევრი“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**